ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №14-59

2017 წლის 25 ივლისი

ქ. თბილისი

„ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემისათვის მოსაკრებლის განაკვეთების განსაზღვრისა და გადახდის ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბერის №17-49 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს:**

მუხლი 1

შეტანილ იქნეს ცვლილება “ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემისათვის მოსაკრებლის განაკვეთების განსაზღვრისა და გადახდის ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ” ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბერის N17-49 დადგენილებაში (სსმ, ვებგვერდი: www.matsne.gov.ge, 16/12/2014, სარეგისტრაციო კოდი: 210020010.35.101.016045) და:

1. დადგენილებით დამტკიცებული ინსტრუქციის მე–10 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„10. განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის (კ-2) გადამეტებისთვის 2017 წლის 1 ივნისის მდგომარეობით არსებული სპეციალური (ზონალური) შეთანხმების მოსაკრებლის გადახდის ვალდებულება უნდა შესრულდეს ამ ინსტრუქციის მე-7 პუნქტის მოთხოვნათა გათვალისწინებით, დაინტერესებული პირის წერილობით განცხადების საფუძველზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობასთან დადებული შეთანხმებით განსაზღვრული გადახდის გრაფიკის თანახმად, შესაბამისი შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღებამდე, მაგრამ არაუგვიანეს 2020 წლის 1 იანვრისა. აღნიშნული არ ვრცელდება მე-11 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევებზე.“.

2. დადგენილებით დამტკიცებული ინსტრუქციას დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-15 პუნქტი:

„15. მოსაკრებლის გადამხდელის მიერ ამ დადგენილების მე-10 პუნქტში აღნიშნული შეთანხმების პირობების დარღვევის შემთხვევაში იმავე პუნქტის შესაბამისად დადებული შეთანხმება გაუქმდება და მოსაკრებლის გადამხდელი ვალდებულია გადაიხადოს მოსაკრებელი შეთანხმების გაუქმებიდან 1 თვის ვადაში.”.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე **გიორგი ალიბეგაშვილი**